ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4682285

ნომერი: AR1705653

თარიღი : 09.09.2019

გაცემის თარიღი : 23.09.2019

გაცნობის თარიღი : 23.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N 11გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომანი ახმედოვი პ/ნ 01020002355
- ე.მიქელაძის ქ.#11გ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 მარტის №3204549 გადაწყვეტილებითდამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 09 სექტემბრის AR1705653 განცხადებით მომართა მოქალაქე რომანი ახმედოვმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის21 მარტის№3204549გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის96-ე მუხლისმოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლასაქმისთვის არსებითიმნიშვნელობის მქონეგარემოებები დადაადგინა, რომ ქ. თბილისის მერის 2017 წლის 19 აპრილის #1-883 განკარგულებით, მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, საზოგადოებრივი კვების სივრცეები, სასტუმროს ნომრები, საცხოვრებელი

აპარტამენტები, საოფისე ფართები) განთავსების მიზნით მიენიჭა ინდივიდუალური ქალაქგეგმარებითი პარამეტრები. აღნიშნულის გათვალისწინებით 2017 წლის 21 მარტის №3204549 ბრძანებით, #01.13.03.023.083 საკადასტრო კოდითრეგისტრირებულ მიწისნაკვეთზე (ფართობი:1013 კვ.მ.) დამტკიცდა მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მომიჯნავე ნაკვეთის შემოერთება, რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, ფართობი და კონფიგურაცია.

2019 წლის 02 ივნისისN01191534-67 განაცხადის საფუძველზე დაინტერესებულმა პირმა მიმართაქ. თბილისისმუნიციპალიტეტის მერიისურბანული განვითარების საქალაქო სამსახურსდა მოითხოვამიწის ნაკვეთზე(ს/კ 01.13.03.023.095) 2017 წლის 19 აპრილის #1-883 ბრძანებაში ცვლილებადა განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება. აღნიშნულის გათვალისწინებით 2019 წლის 05 სექტემბრის ბრძანება#ბ01.01192487-ითშეივიდა ცვლილება2017 წლის 19 აპრილის #1-883 ბრძანებაში დაბრძანების პირველიმუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. „ქალაქ თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა N11გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.13.03.023.095) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) განთავსების მიზნით, მიენიჭოს ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები“.

აღნიშნულის ცვლილების საფუძველზე, წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 მარტის №3204549 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და განახლებული საკადასტრო გეგმის და მისი მონაცემების დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 მარტის №3204549 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 მარტის №3204549 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (ს/კ N01.13.03.023.095 ფართობი 1193 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N892018950965; რეგისტრაციის თარიღი 22/02/2019 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892018976626, რეგისტრაციის თარიღი 09/11/2018 წ.);
2. ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 მარტის №3204549 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 სექტემბრის ბრძანება #ბ01.01192487 ბრძანება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 მარტის №3204549 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ

გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;

- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.